№ 38 28 სექტემბერი 1873 28 სექტემბერი № 38

ეროვნული ბიბლიოთეკა


# დროება

## საპოლიტიკო და საალიტერატურო გაზეთი

წელიწადი მეოთხე

**გაზეთის ფასი**

| | გაგზავნით. | გაუგზავნ. |
|---|---|---|
| ერთის წლისა | — 6 მ. კაპ. | 5 მან. კაპ. |
| ნახევარის წლისა | — 3 „ „ | 2 „ 50 |
| სამის თვისა | — 1 „ 75 | 1 „ 50 |
| ერთის თვისა | — „ „ 60 | „ „ 50 |
| ცალკე ნომრისა | — „ „ 12 | „ „ 10 |

**განცხადება, „დროებაში“**

დასაბეჭდათ, მიიღება სხვა-და-სხვა ენებზე. ფასი განცხადებისა ჩვეულებრივის ასოებით, სტრიქონზე 4 კაპ. და ასო-მთავრულებით — ასოზე 1/4 კაპ.

**ხელის-მოწერა**

მიიღება **თფილისში:** „დროების“ რედაქციის კანტორაში, სოლოლაკზე, სოლომონ მირიმანოვის სახლებში.

**ჟუთაისში:** ზერასიმე კალანდარაშვილთან (სასულიერო სასწავლებელში) და სვ. მესხთან.

გარეშენ მცხოვრებთა შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ მოთხოვნილება:

*Въ Тифлисъ. Въ контору редакціи газеты „ДРОЭБА“.*

გამოდის კვირაში ერთხელ, პარასკევობით.


**შინაარსი**


საქართველო: ჩვენი ქალაქების მმართველობა—სამეგრელოს თავად-აზნაურობა და ბანკი—წვრილი ამბები—უცხო ქვეყნები: საფრანგეთი—ესპანია — თანამედროვე შენიშვნები და სურათები—მწერლობა: „თფილისის მოამბის“ ბიბლიოგრაფი—მადნის წყლები იმერეთში და სამეგრელოში. — განცხადება.

ფელეტონი: მადნის წყლებიდამ (წერილები) II. — ისა.


# საქართველო

თფილისი, 27 სექტემბერს 1873.

ამ უკანასკნელ დროში, ჩვენ ხშირათ მოგვდის უსიამოვნო ამბები იმის თაობაზე, თუ როგორ იმართვის ჩვენი ქალაქების საზოგადობრივი საქმეები. ჩვენ ნიადაგ გვესმის, რომ საზოგადო 'შემოსავალი უთავებოლოთ იკრიბება, გარდასახადი უსწორ-მასწოროთ ეწერება, შემოსული ფული უხეიროთ იფანტება და საზოგადობრივ საჭიროებებს კი თითქმის არაფერში დაკმაყოფილება არ ეძლევათ. ფოთიდამ, ჭუთაისიდამ, ბორიდამ და სხვა წვრილმან ქალაქებიდამ ამ საგანზე თითქმის ერთნაირი ჩვეული და ერთი და იგივე გოდება გვესმის, ისე რომ ამის თაობაზე ორიოდე სიტყვის თქმა უსარგებლო არ იქნება.

ჩვენი ქალაქების საზოგადო მმართველობა დღეს ორ ნაწილათაა გაყოფილი. ბარდასახადის განაწილება და შემოსაველის შეკრება საზოგადოებისაგან ამორჩეული დეპუტატების ხელშია, რომელნიც, ამას გარდა, შემოსულ ფულს ინახავენ და ზოგიერთ გასავალსაც პატრონობენ. მაგრამ ხარჯის (გასავალის) სია, რომელსაც სხვაგან „ქალაქის ბიუდჟეტი“ ჰქვია, თითქმის ყოველთვის იმნაირი წესით სდგება, რომ დეპუტატებს მის შედგენის დროს თავის ხმით და გავლენით არა სარგებლობენ.

ზოგიერთ ჩვენს ქალაქებს გვარიანი შემოსავალი აქვს, სხვებს დიდძალი ფულიც ჰქონიათ მორჩენილი. მაგრამ არავინ იცის, ნამდვილათ, რამდენია ეს ფული, სადაა, ვის რასში ადგება, როგორ იხარჯება და სხვ. დეპუტატებს რომ კითხავს კაცი ამ საგანზე, ისინი ამბობენ—ჩვენ რა ვიცით, ჩვენს ხელში მარტო ფულის შეკრებაა; პოლიციის სეკრეტრებს რომ მიჰმართავს კაცი ამავე კითხვით, პასუხათ მიიღებს — ეს დეპუტატებმა უნდა იცოდნო, ჩვენი საქმე წესიერების დაცვაა, მეტი არაფერია. ვინ ამბობს მართალს, ვინ სტყუვის, — ამისი კაცს არა ესმის რა, და მობეზრებული, დაუკმაყოფილებელი, ის ამ საქმეს თავს ანებებს.

ღვთის მადლით ამ დახლართულ მდგომარეობას მალე ბოლო უნდა მოეღოს. ჩვენში დღე-დღეზე ელიან ქალაქების „საზოგადობრივი მმართველობის“ შემოღებას, როცა თითოეულ ქალაქს თავისი ამორჩეული „თავი“ (голова) ეყოლება და დეპუტატების კრება, რომელსაც ყველა საქალაქო საქმეების გადაწყვეტა და პატრონობა ებარება. ასეა დღეს რუსეთში, და ასე უნდა იქნეს ამ მოკლე ხანში ჩვენშიაც... და ამ გვარი წყობილების საჭიროება არაფერათ არ მტკიცდება ისე, როგორც ეხლანდელი ჩვენი ქალაქების ანგარიშების დახლართვით და უპატრონო მდგომარეობით...

როგორია ეს ეხლანდელი მდგომარეობა და რამდენათ საჭიროა დაუყონებელი შემოღება ახალი წესისა, ამას ჩვენ, სხვათა შორის, ორიოდე მაგალითი გვიჩვენებს ჩვენი ქალაქების მმართვისა.

ბორიდამ გვწერენ მაგალითად, რომ იქ დეპუტატების ამორჩევა მეტის მეტ-თ უთავბოლოთ ხდება. შემოიარს თურმე დესიატნიკი ბაზარს, შეკრებს რამდენიმე ხარაზს, სირაჯს ან მედუქნეს და წაიყვანს საზოგადოებრივი საქმეების გადასაწყვეტლათ. მოქალაქეების სია, რომელშიაც უნდა ჩაწერილი იყოს, ვისა აქვს კენჭი და ვის არა, ვინაა ნამდვილი მოქალაქე, და ვინ—ორი დღით მოსული, ვის გადახდება რამე და ვის არა, არსად სჩანს თურმე. და ამნაირათ შეკრებილ გროვას უცაბედათ ეტყვიან თურმე—დეპუტატათ ჩვენ ამოგვირჩიეთო, ან აი ამ ქაღალდს ხელი მოაწერეთო. ხშირათ თურმე „ქაღალდი“ ისეა შედგენილი, რომ შიგ განოყვანილია გადაწყვეტილება, ამა და ამ საგანზე ფული დაიხარჯოსო, და რამდენი დაიხარჯოს—ამისი კი ადგილი თეთრათ არის დატოვებული: დეპუტატები თვითონ ჩაწერენ შიგ, შემდეგ, რამდენი დაიხარჯოსო. ამ გვარი კენჭის ყრის გამოისობით, როგორც გვწერენ, დეპუტატებათ ნიადაგ ერთი და იგივე პირები ირჩევიან, ამიტომ რომ ისინი როდი იკარებენ მოწინააღმდეგებს, როდი ატყობინებენ კრების დანიშვნას იმისთანა პირებს, რომელზედაც დარწმუნებით არ იციან, რომ ჩვენს სასარგებლოთ ილაპარაკებენ ან კენჭს ყრიანო.

არც ერთჯერ არ მომხდარაო, გვწერს ამ საგანზე ჩვენი კორრესპონდენტი, რომ მოქალაქეები დეპუტატებს უწყებებით დაებარებინონ დეპუტატების ამოსარჩევლათ, ან სხვა საზოგადო საქმეებზე გადაწყვეტილების მისაღებლათო.

ამ ნაირათ მოხიკულ კრებაზე იცით რა და რა საგნები ისჯება და რანაირი გადაწყვეტილება მიიღება ხოლმე? საზოგადობრივი (ქალაქის) მიწა-წყლის გაყიდვა, ფულების (ას-ას თუმნობით) დახარჯვა, ახალი გარდასახადის შეწერა, ზოგიერთი მოქალაქეების რუსეთში გადასახლება და სხვ. და სხვ. და სხვ. ამისთანა მაგალითების მოყვანაც ბევრი შეგვიძლია, მაგრამ რა საჭიროა. უმთავრესი მათგანი ისაა, რომ ამ მოკლე ხანში დიდძალი საქალაქო ადგილები გაუყიდნიათ ბორში, და კაცმა არ იცის თურმე, ეს

# ფელეტონი

## მადნის წყლებიდამ

(წერილები.)

სად ვიყავ და სადა ვარ?...

### I

ამ ცოტა ხნით შვეიცარიის და განსაკუთრებით Ciurichis მოცილებამ იმისთანა გუნებაზე დამაყენა, როგორიც—თითქმის ამ ორი წლის წინათ—ჩემი სამშობლოს მოშორებამ.. ამ ორი წლის განმავლობაში ისე შვეჩვიე იმას, თითქოს ჩემს სამშობლოში ვყოფილვიყავ... ბევრი სიმშვენიერე აქვს ყოველის მხრით ამ დალოცვილ პატარა ქვეყანას და მის ერთ მუჭა ხალხს... და მიტომაც უფრო გამიძნელდა მისი მოშორება, თუმც ერთი თვის ვადით კი, რომ რკინის გზა პრუსიის სამშობლოსკენ მიმაქანებდა—სულ სხვა „სახელმწიფოში“, სხვა ზრდილობიან ხალხისკენ და სულ სხვაფრივათ შეზავებულ ჰაერის მქონე ქვეყანისკენ.

საკვირველია, რომ როგორც შვეიცარიის სამზღვარს გადადიხარ და ბავარიის ან ვიურტემბერგის სახელმწიფოში შედიხარ თუ არა, მაშინვე იგრძნობ, რომ სულ სხვაგან ხარ; რკინის გზა აბა რა ჩქარა მიაქანებს კაცს; ბევრი ემდურის—ნახევარი ბუნების სიმშვენიერე სრულებით უნახავი გვრჩებაო, მაგრამ მე კი ამ სამდურავს ვერ განვაცხადებ, რადგან, როგორც ჩემს თვალებს, ისე ყურებს, არც ერთი სამხედრო კაცის ეპოლეტების კრიალი და მათი ხმლების რაჩხა-რუჩხი არ ასცილებიათ, რომ ან არ დაენახოს ან არ გაეგონოსთ... ძარგი მგრძნობიარე და მყნოსავარე ცხვირი კიდევ იგრძნობს, რომ ამ სახელმწიფოებში—და პრუსიაში ხომ აშკარაა — შარშანწინდელი მიტრალიეზებით დახარჯული თოფის წამლის სული კიდევ ისმის აქა-იქ. ბერლინის სასახლეს სპეციალურად უკანასკნელი ომების გმირების დასაჯილდოებლათ გამოუცხვია ახალი „რკინის ჯვარი. ის არა თუ სალდათებს და აფიცრებს უშვენებს მხარ-მკერდს, არამედ ბავშების სათამაშოებისათვისაც კი მოუხერხებიათ გამოყენება... სადღაც გზაზე (შტუდგარდიდამ მაინცამდი მგონი) სათამბაქოში შეველი, და რაღაც ხის სათამბაქო შემომაძლიეს, რომელსაც სახურავიც და ძროც ამ ახალი „რკინის ჯვარის“ სურათს სახავდა. საშინელი რამ უშნო, ულაზათო და მოუხერხებელი რაღაც იყო, იმიტომ, რომ ეს ჯვარი აჯდა, თუ ოსტატს ვერ მოეხერხებია ამ ჯვარის გამოსახვა ხეირიანათ—არ ვიცი.— მე უარი უთხარი, თუმც „შარშანწინდელი ომების სამახსოვროთ“ კი მთხოვეს იყიდეთო. მედალიონები და „ქაღალდის სამძიმებელი“ (პრესს-პაპიე) იმათგან, ხომ ვინ იცის რამდენს უშვენებს საათის ძეწკვებს და საწერ სტოლებს. ეს უკანასკნელი, ბერმანიაში ისე ხშირი შექმნილა ამ უკანასკნელ დროს, როგორც მაგალითათ შვეიცარიაში ის „ქაღალდის სამძიმებელია“, რომელშიაც გამოსახულია „ბრიუტლის“ (Grütli) შეთქმულობა, რომელშიაც სამი ერთი-ერთმანერთზე მოხვეული შვეიცარიელი პირობას სდებენ: სამშობლო გავათავისუფლოთო... როდესაც ორივე ისტორიას მოიგონებ და ერთი ერთმანერთს ადარებ, საცოდაობას გრძნობ: ერთს ან პირველს მუდამ წინ უზის სურათი, რომელიც აგონებს საფრანგეთის გაცარცვას და შეურაცხყოფას, და მეორეს კი წინ უზის ის მაღალ-აზროვანი სურათი, რომელიც მას მუდამ ამხნევებს და სამშობლოს გათავისუფლებას აგონებს...

---

სანამდის ბერმანიის სახელმწიფოში შემოვიდოდი, თავად შვეიცარიაში შემხვეთა რამდენიმე მანძილი რეჰინის მდინარის ნაპირებისა მენახა. რეჰინის მდინარე, როგორც მოგეხსენებათ, შვეიცაარიის ალპებში (კან. ბრაუბინდენში) იწყება და თავი ამ მდინარისა ამ ქვეყანას—თითქმის ყოველ მხრით—ბერმანიის სამზღვრებს ურეცხს; მიმდინარეობს შაფლაუზენის და ბაზელის კანტონებში ბოდენის ტბაში გარეცხილი და ბოლოს ისევ რეჰინის სახელით დუნეთ, თითქოს არ ინძრევაო, შედის ბერმანიაში, სადაც ის ერთს უმთავრესს მდინარეთ ითვლება.—აბა რაღა რეჰინის „წყალ-ვარდნილი“ ეჭირვებოდა ეხლაც დახატულ შვეიცარიას, მაგრამ ბუნე-

ფული რა იქნა, და რა საჭიროებისთვის მოიხმარება.

წლევანდელი კამერალიის აწერილობის დროს ბევრი უწესოება მომხდარა, ბევრი გარეშე პირი ჩაუწერიათ მოქალაქეების რიცხვში, ისეთები, რომ იმათ კაცი ქალაქში ვერასოდეს ვერ ნახავს, და მათი ხვედრი გარდასახადი კი ნამდვილ მოქალაქეებს გადახდება, მაგრამ ამისთანა და ბევრი სხვა შესანიშნავი მაგალითები ჩვენ უყურადღებოთ უნდა დავსტოვოთ, ამიტომ რომ ისინი საზოგადო წესის ნამყოფია, და სანამ თვითონ ეს წესი არ შეიცვლება ამ ნამყოფს საზოგადოება თავიდამ ვერ მოიცილებს...

ნუ დავივიწყებთ კი, რომ მაშინ, როცა ქალაქის ფული ას-ას თუმნობით თვალსა და ხელს შუა იკარგება, და ვინ იცის რამდენი უფრო მეტი თუმანი ქალაქის ხაზინას აკლდება, არც ერთ ამ ჩვენ ქალაქებში არც ერთი ხეირიანი სასწავლებელი, ქალისა იყოს გინდ ვაჟის, არ გაუხსნია ქალაქს, ისეთი, რომ ნამდვილათ სასწავლებლის სახელი ეღირსებოდეს. არც ერთს საზოგადოებისთვის საჭირო საქმეს არავის ყურადღება არ მიქცევია, და ქალაქის ფული და შემოსავალი, ზოგი ვინ იცის ვის ჯიბეში იღუპება, ზოგი კი ბულვარების და „როტუნდების“ კეთებაში, გარდაკეთებაში, გარდმოკეთებაში, და დამახინჯებაში იხარჯება...

იმედი ვიქონიოთ, რომ ხეირიანი „საზოგადობრივი მმართველობა“ ამაებს ბოლოს მოუღებს და უკეთესათ უპატრონებს ჩვენი საზოგადოების ფულებს და საჭიროებას.

ნ. სკანდელი.

---

—ჭუთაისიდამ გვწერენ, რომ ბანკის თაობაზე სამეგრელოს თავად აზნაურობას თავი შეუყრია, საქმის გასაშინჯველათ და იმერეთის თავად-აზნაურობასთან შესაერთებლათ. მაგრამ რადგანაც ჯერ-ჯერობით სამეგრელოს თავად-აზნაურობა თავის ღირსებაში დამტკიცებული არ არის და სხვა გუბერნიების მსგავსათ საკუთრივ „წოდებას“ არ შეადგენს, იმას საერთო გადაწყვეტილების და სანდო პირების ამორჩევის ნება არ ჰქონიაო... იმისთვის წინადადება მიუციათ, თუ გინდათ უბრალოთ ხელი მოაწერეთ ისეთს ქალალდს, რომელშიაც გამოყვანილი იყოს, რომ თქვენ, ხელის მომწერნი თავად-აზნაურები, თქვენს ფულს იმერეთის ბანკს აძლევთო. ქორრესპონდენტი გვწერს, რომ რამდენიმე ათასს (7000) თავად-აზნაურიდამ მარტო სამასმა კაცმა მოაწერა ხელი ამ გვარ ქალალდსო, და თუმც ძლიერ ცდილობენ, რომ დანარჩენებმაც ზედ ხელი მოაწეროონო, მაგრამ რვაასს კაცზე მეტი არა მგონიროომ იშოვოონო.

ამასთანავე ჩვენი კორრესპონდენტი გვწერს, რომ უმეტესი ნაწილი ხელის მომწერლებისა ისეთი პირები არიან, რომელთაც ბანკის სერმიაში გროშიც არ გაჩნიათო.

დიდათ სამწუხაროა, რომ ეს საქმე ასე დახლართულათ მიდის. თუ მეგრელებს მართლა ნება არ ჰქონდათ თავიანთ მხრით ვინმე ამოერჩიათ, რომ ბანკის უსტავი ისე გარდაკეთებულიყო, როგორც იმათი შეხედულობა ითხოვდა, ნუ თუ ქუთათურმა მოთავეებმა თავიანთი მხრით სიტყვა ვერ მისცეს ამ გვარი გადაკეთებისა, რომ ყველანი დაეთანხმებიათ? ან მათ „სიტყვას“ დღეს გასავალი აღარ აქვს?

კიდევ ერთი შენიშვნა: ჩვენი ხალხის გონებას დიდი ხანია გარდაუწყვეტია, რომ ის საქმე, რომელიც ამდენი ცოდვით და ვაივაგლახით, მიდებ-მოდებით და ხრიკებით იბადება, ერთობ ბედნიერათ და მადლიანათ ვერ გაიხარებს. მაგრამ დღეს ამის თაობაზე ბევრი ლაპარაკი საჭირო არაა. იმ დღესაც მალე მოვესწრებით, როცა ამ ჩინებული საქმის წაბილწვაში თითოეულს პასუხი მოეთხოვება და დღევანდელი ვითომ-ოინობა და საქმის დახლართვა შხამათ შეერგება.— შეცვრება იმითია საშინელი და მოსარიდებელი, რომ აი ამისთანა უბრალო და ადვილ საქმესაც ხლართავს, აბნელებს, კუდს აბამს და ათასნაირ დაბრკოლებას და „მრუდე გზებს“ უმზადებს...

—თფილისის კლასიკურ გიმნაზიაში ზოგიერთს ჩვენ ყმაწვილებს ქართული ენის სწავლაზე ხელი აუღიათ. მათ განათლებულ მამებს რჩევა მიუციათ იმათთვის, რომ ეს ენა ჩვენში გამოუდეგარიაო. დიდის სიამოვნებით ვაცნობებთ ჩვენს მკითხველებს, რომ ამისთანა განათლებული აზრის არიან ჩვენი უმაღლესი საზოგადოების წევრები....

— თფილისში ამ მოკლე ხანში ერთობ გახშირდა მცარცველობა და ავაზაკობა. იმ დღეს შუაგულ ქალაქში, ალექსანდროვის ბაღში, ერთი ჩინოვნიკი დაჭრეს და კინაღამ გაცარცვეს. ეხლა, ამ კვირაში, ოცი ავაზაკი უფ. ბელიაევს დაცემია თავზე, ქუკიაში, და ისე გაუცარცვავს, რომ კაცი მშველელი არ გამოჩენილა. ამბობენ ათას ორასი თუმნის ღირალი ნივთები და ფულები წაულიათო. თვითონ პატრონი გაუქაჩავთ და ძალადატანებით უთქმევინებიათ სად რა ჰქონდა შენახული.

უფ. ბელიაევი სამოცი წლის მოხუცია და თითქმის შუაგულ ქალაქში დგას.

— ჩვენ ნამდვილათ შევიტყვეთ, რომ იმ მეყველეების ამხანაგობის ქარხანიდგან, რომელიც უ. ახვლედიანმა ქართლში გამართა, ამ მოკლეს ხანში ჩამოუტანიათ მათი ნაწარმოები, ე. ი. ყველი ღოლლანდიური სისტემით გაკეთებული და ორ ნაირი ერბო, და მალეც დაიწყებენ ვაჭრობას. თან ესეც გავიგეთ, რომ უ. ახვლედიანი მომავალი წლისთვის კიდევ ორი სხვა ქარხანის გამართვას აპირებს: ერთს ქახეთში და ერთს ოსეთში.

— დუშეთის მაზრის მმართველობა გვაცნობებს, რომ 13 ოქტომბრიდამ 21-მდი იქნება დუშეთის იარმუკა, სასოფლო ნაწარმოების გასასაღებლათ.

— ამ დღეებში თფილისის საზოგადოება დიდის ყურადღებით უცქეროდა ჭუთათურ მილიციას (иррегулярный полкъ) რომელსაც აქ ყარაული ეკავა. ძლიერ მარჯვეთ ეკავა თავი ამ მილიციას და კარგაც გაწვრთვნილს გავდა.

---

# უცხო ქვეყნები

## საფრანგეთი.

— მონარხიელებს (ბონაპარტის მომხრეებს გარდა) საბოლოოთ ის პროგრამმა მიუღიათ, რომელზედაც დიდიხანია ლაპარაკი იყო: იმათ სურთ, რომ შეიყრება თუ არა ნაციონალური კრება, გარდაწყვეტილება მიაღებინონ, რომ საფრანგეთში რესპუბლიკა უნდა მოისპოს და მის მაგიერ მონარხია დაარსდესო. იმის თაობაზე, თუ ვინ დაისვას საფრანგეთის ტახტზე, მონარხიელები ხმის ამოღებას არ აპირებენ, რადგან კარგათ იციან, რომ ვერც შამბორი, ვერც ორლეანელი პრინცი კენჭის უფლებასა ვერ შეჰკრებს. ეს უსახელო მონარხია, მათი აზრით, ისევ მაკ-მაჰონის ხელში უნდა დარჩეს, ჯერ-ჯერობით მაინც. მაგრამ მაკ-მაჰონს რესპუბლიკის პრეზიდენტი კი არა, კორროლის მოადგილე (ნამესტნიკი) ერქმევა სახელათ. ეს პლანი გონიერათ და მოხერხებულათ არის შემდგარი. მაგრამ მის გასამარჯვებლათ მონარხიელებს ოცდაათი კენჭი აკლიათ, ან ორმოცი, და ვინ იცის, მოახერხებენ ისინი ოცდაათი ლაბულეს ყიდვას თუ არა. ის კი მართალია, რომ ამისთვის იმათ დაპირების მეტი არა დაეხარჯებათ რა: მათ დაპირებულს, ხომ, საფრანგეთს გარდაახდევინებენ, ჯამაგირით, შემოსავლიანი ადგილებით და სხვ.

რესპუბლიკელი პარტია ერთობ დაიმედებულია, თურმე, რომ ეს პლანი არ შესრულდება. მაგრამ ისიც კი უნდა ითქვას რომ ამ ჟამათ იმათ ხელის განძრევის სალავათი არა აქვთ.

## ესპანია

—მასაქეთ, რაც კასტელარმა ესპანიის დამშვიდება და კარლისტების მოგერება იკისრა, შესანიშნავი ცვლილება არა მომხდარა რა ესპანიის შინაგან პოლიტიკაში. კასტელარი ვალდებულია, ყოველი ღონისძიებით აღადგინოს ესპანიაში ჯარის დისციპლინა და მშვიდობიანობა. მაგრამ ჯერ-ჯერობით იმას არც ერთი განუსაზღვრელი უფლება არ უხმარია, რომელიც იმას კორტესებმა თავზე მოახვიეს. იმას უფლება მისცეს სამხედრო წესით (სიკვდილით) დასჯისა ყველა იმ პირების, რომელნიც დისციპლინის წინააღმდეგ იქცევიან, და იმ უფლების მიეიწყებისა, რომელსაც ესპანიის კონსტიტუცია თითოეულ მოქალაქეს აძლევს, მის პიროვანი თავისუფლების დასაცველათ. რამოდენათ სახეიროთ გამოიყენებს კასტელარი ამ უფლებებს ეს ბოლოს გამოჩნდება. ეხლა კი მარტო ის სჩანს გაზეთებით, რომ ის უფრო ვითომ-ლიბერალებს უხვევს თავს და მათ გულს აშოშმანებს, და ხანდისხან გაზეთებს ლაგმავს და ებრძვის. მაგრამ კარლისტები გაზეთებით კი არ არიან ძლიერნი: მათი ძალა იარალში და ჯარშია, და ამ მხრით კასტელარს ჯერ მათთვის ბევრი არა დაუკლია რა.

---

ბას სხვა მისს სიმშვენიერესთან არც ეს დაუკლია მისთვის. კან. შაფლაუზენში თავათ ამ სახელისვე ქალაქის სიახლოვეს მთელი რჰეინის მდინარე, გაშმაგებული, ერთის ვაი ვაგლახით და ღრიალით, თითქოს დაკოდილი ლომი იყოს, ან თითქოს გრძნობდეს, რომ ჩემს სამშობლოს მალე უნდა მოეშორდეო, ვარდება ამ სახით თითქმის ათი საჟენის სიმაღლიდამ.—ისე მი'ი სიმაღლე არ აკვირვებს მნახველს, როგორც მისი სიფართოე, შიგ აყვანილი კიბეებსავით დაბჯენილი კლდეები, თან რამდენიმედ მის გარეშემობუნება.

მეტს ვერ ვკისრულობ რჰეინის წყალვარდნილზე რამე ვთქვა. უნდა გამოგიტყდეთ, რომ მუზები არ მეკარებიან.—დასასრულს იმას კი ვიტყვი, რომ იმის ნახევარიც არ მომსვლია მე რჰეინის „წყალ-ვარდნილის“ ნახვაზე, რაც ქარამზინს, რომელიც, როგორც გამიგონია, სადღაც ამის სიახლოვეს თავის ტარანტასიდამ გადმომხტარა და მეტის მეტი აღტაცებით რჰეინის ნაპირებს მოხვეევია.—ეს მარტო ქარამზინს შეეძლო ექმნა, რომელიც მართლა რომ თავის სამშობლოში იმისთანას კი არა, ამის მზგავსსაც ვერაფერს ნახავდა მისდღეში და არა მე, რომელსაც ამისთანა თუ არა, ამის მზგავსი მაინც რამ მინახამს ჩემს პატარა ლამაზს სამშობლოში.... შაფლაუზენიდამ დაწყებული, რაკი ზერმანიაში შედიხარ, მანნეიმამდი (Mannheim) რეჰინის მდინარე და მისი ნაპირები აღარ ჩანს; მანნეიმიდამ კი თითქმის სულრკინის გზით მის ნაპირებზე მიდიხარ და შენს თვალებს არ შორდებიან ის თვალთ-ულწევი რიგ-რიგზედ მიყოლებული ზვარები (ვენახები), რომლებიც ამ მდინარის ნაპირებს აშვენებენ და ლაზათს აძლევენ.

ამ ზვარებში მოდის, და „იწურება“ ის რჰეინის ღვინო, რომლითაც ეგების ამ სტრიქონის წამკითხველი არა ერთხელ შეზარხოშებულა.

რაკი იმ ადგილამდი მიველით, სადაც რეინის ნაპირების რკინის გზა იყოფა, ერთი ისევ ამ ნაპირებს არ შორდება და ქოლნზე (Cüln) მიდის, და მეორე ელზას-ლოტარინგიაზე და ამ უკანასკნელი ტოტით რეჰინის მდინარეს უნდა მოეშორეებულიყავ—დიდი მანძილი აღარ მრჩებოდა ჩემი მგზავრობის მიზნამდის. სულ 20 მინუტის სასიარულო დამრჩა—ბინგენიდამ (Bingen) ქრეიცნახამდი (Kneüznach), სადაც ერთი თვე წყლებზე უნდა გამეტარებია.

ქრეიცნახ'ში სანამ თავდარიგს შეუდგებოდი—სადგომ ოთახს მოვეებნიდი და ნარჩევ ექიმსაც ვნახავდი, ვარჩიე რომელიმე პატარა სასტუმროში შესვლა, რომ ნამგზავრებს ცოტა კუჭისათვის შემეტყობინებია, რომ კართოფილის და ლუდის (პივოს) ქვეყანაში ვარ. ბევრი არ მიველია,—იქვე ეაგზალთან პატარა სასტუმროში ვიკითხე, თუ რასმე საჭმლის შოვნა შეიძლება მეთქი,—რადგანაც საათის ორი იყო და როგორც მოგეხსენებათ ბერმანიაში საზოგადოთ 12—1 საათამდი მზათ არიან კიდევ.—წავისაუზმე ხელად და ნასაუზმევს სასტუმროს პატრონს ვკითხე, ოთახი ხომ არ გაქვთ მეთქი.

— თქვენ, თუ არ ეცდები, საექიმოთ მობრძანებულხართ ჩვენს წყლებზე, უფალო? მკითხა პასუხის მაგიერ სასტუმროს პატრონმა.

— დიახ, ვუპასუხე მე.

— რატომ ასე დაგიგვიანებიათ?

— ასე მოხთა და რაღას უშველით. ექიმი უნდა ვნახო—თუ მითხრა წყლებით სარგებლობა კიდევ შეიძლება—დავრჩები, თუ არა და ღმერთმა მშვიდობა მოგცეს თქვენც და თქვენს წყლებსაც.

— წამობრძანდით, ოთახები დაგატაროთ და შემდეგ ვილაპარაკოთ ექიმებზე და საზოგადოთ აქაურ წყლებზე და ცხოვრებაზე... რამდენხანს დარჩებით?

— ექიმზე ჰკიდია—ვუპასუხე და შეუდექით ოთახების თვალიერებას.

— ერთი ეს გახლავთ, ძლიერ მშრალი და როგორც ხედავთ მეორე ეტაჟშია. ღირს თხუთმეტი ტალერი თვეში *).

ოთახი სწორეთ იმოდენა იყო, რომ ერთს მარტოხელ ჩემისთანა კაცს სრულებით ეყოფოდა, თავის სიდიდით და მოწყობილობით, მაგრამ ვერ იყო კარგს მოხერხებულ ალაგას: ფანჯრიდამ გარდიხედავდი, წინ ქუჩა ჩადიოდა, რომელზედაც ალბათ არც დღე და არც ღამე მოსვენება არ იქნებოდა.

— მაშ ეს გახლავთ მეორე, მაგრამ ეს

*) 15 ტალ. თითქმის 17 მანეთს იქს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## თანამედროე შენიშვნები და სურათები.

### I

დღეს საფრანგეთი განთავისუფლდა ბერმანიის ჯარისაგან! დღეს მტერი აღარ სთელავს საფრანგეთის მიწას!

ხალხი გიჟურ აღტაცებით ეგებება თავის ნაციონალურ სამფეროვან დროშას, ის ხელახლავ უბრუნდება თავის დაჩაგრულს, მაგრამ, მაინც ძვირფასს და საყვარელს მისთვის სამშობლოს!

ძლევა მოსილი პრუსია, დატვირთული ფრანცუზების ცრემლითა და სისხლით, დატვირთული აუარებელის ომის ნაფაქითა, სიამაყით და ნეტარებით სავსე, შედის თავის და gross ფატერლანდში. დარწმუნებული თავის უპირატესობაზედ კაცობრიობაში, ბერმანია ლოთურ ოცნებას და ტრაბახს ეწაფება. დიდ ხანს გაგრძელდება, ნეტავი, ამ ნაირი სიზმარი?

ერთი ფრანცუზის მწერალი ვილნევი (Villeneuve) ამბობს საქართველოს ხალხის შესახებ შემდეგ სიტყვებს: „ხალხი მისი გაჭირვების, და არა დალხინების დროს იცნობება. საქართველომ ისეთი გასაოცარი სიცოცხლის ნიჭი, ძლიერება ხელისა და სიმხნე მკლავისა გამოიჩინა რამდენიმე საუკუნოების ბრძოლის დროს უძლიერესს თავის მტერებთან, რომ ისტორია მზგავს ჩინებულ მაგალითს არ წარმოგვიდგენსო“.

ჩვენ თამამად შეგვიძლია, ეს მაღალი სიტყვები ბერმანიისათვისაც ვიხმაროთ და უთხრათ მას: ბურთი წინა გაქვს, და ბიჭობაც მაშინ გამოგიჩნდება მეთქი.

ხალხის დამონება, ერთობით, ძნელი გასაბედავი და ასასრულებელი საქმეა! ძნელია მისთვის, რომ ადამიანის ბუნებას—რაც გინდ დაბალ ხარისხზედ არ იყოს მისი ჭკუის ძალა—დაბადებისა თანავე თან დაჰყვება თავისუფლების და დამოუკიდებლობის გრძნობა. როდესაც აკვანში ერთი კვირის ბავშვს არტახებს აკრავთ ხელ გულზედ, ის თავისებურად გეწინააღმდეგებათ—ჭყივის, სტირის, ფაცურობს. ასეა ხალხის მოძრაობაც როდესაც ის ჯერ სუსტია. იგიც ისე ყმაწვილსავით უმნიშვნელოდ და სუსტათ იჩენს პროტესტაციას! მაგრამ, იმაგრებს თუ არა მკლავს და გონებას შემავიწროებელი სარტყლები, შემხუთველი ადამიანის ლტოლვილებისა, წყდება და კაცი თამამის თვალით უწყებს მზერას დედას—ბუნებას. ეს საზოგადო კანონია. მაგრამ, რაკი დროებით წაჯირგალებულია იმისთანა ხალხი, როგორც ფრანცუზები, მაშინ, რასაკვირველია „თავის დაფარვის გრძნობა“ მომეტებულად ძლიერად და ფიცხად მუშაობს.

სანამ საფრანგეთის შვილები ბერმანიის ხელში იქნება, საფრანგეთი ვერ დასცხრება შურის ძიებისაგან. ბულზედ მოგლეჯილი ძმების შეერთებას, მათთან ერთობას და სიცოცხლეს, ფრანცუზები არც ერთ ქვეყნიერ ჯილდოზედ არ გასცვლიან. ასეა ამტაცი და წმინდა არის, მათთვის სამშობლოს შეუხებლობა!

ვიქტორ ჰუგომ მშვენიერი ლექსით წარმოსთქვა დღეს ეს ყველა პატრიოტის დაფარული და საფუფუნო გრძნობა. პოეტი ანბობს: „სანამ ალზასი და ლორრენი ბერმანიის ფეხ-ქვეშ აგდია, სანამ ჩემი სამშობლოს დიდება და სახელი შეგინებულია, მანემდის მე ჩემს თავს თავისუფლად არა ვრგრძნობ. მანემდის ფეხი კუბოში მიდგია და გულზედ უსაზარალესი მწუხარება მაწვეს. ვერც შვენიერი ბუნება ჩემის ქვეყნისა, ვერც ბრწყინვალეცა, ვერც ელვარე მნათობნი ზეციერნი, ვერც საამო გალობა ფრინველთა და სიმკვირცხლე ცხოვრებისა ვერ გაათბობენ ჩემს გაყინულ და შეთოკვილს არსებას! იმ დღემდი, სანამ საფრანგეთის მკერდზედ სტრასბურღ, და მეცი ხელახლავ გულზედ არ მიეყდნობა—იმდღემდი მე ცოცხალთ რიცხვში არ ეურევიარ! მაგრამ აი, მე ჩემს თავზედ ვამჩნევ პატარა ღრუბელს! ვამჩნევ ხალხის ძლიერს მდინარეს! მესმის როგორ მატულობს ის, როგორ იქცევა ზღვის ტალღათ, და ჩემს გულში სულ ისევ ის საშინელი ცეცხლი ღვივის! ვესალამები ამ დღეს.“

ჰუგომ თავის ქვეყნის ტანჯვა და უაღრესი სურვილი წარმოსთქვა ამ სიტყვებით. რამდენი კაცი და ქალი ვნახე დღეს ამ ლექსის კითხვაზედ, რომ სტიროდნენ და ჩარბებს იკვნეტავდნენ სიმწარითა, რომ იცოდეთ? და რამდენის გულში აღამაღლა და განბრწყინა ჰუგომ სამშობლოსთვის თავგანწირულობის და მსხვერპლობის ლტოლვა, ეს ვინ იცის?

ვიქტორ ჰუგო, ერთობ მშვენიერი გულთამკითხავია, მაგრამ აქ იგი განსაკუთრებით პირდაპირ სცემს თავის მიზანს!

ბედნიერია ხალხი, რომლის მწუხარებას ამნაირი გამცხოველებელი მომღერალი ჰყავს! ბედნიერია პოეტი, რომელსაც საფრანგეთისთანა ხალხი უგდებს ყურს გულის ძგერით და სალოებით.

ერთ სიტყვაზედ „სამშობლო“, ფრანცუზს ყველაფერი ავიწყდება ქვეყანაზედ, გარდა ამ წმინდა სახელისა! ის ელვასავით სპობს თავის არსებაში ყველა გარეშე ანგარიშებს, ყველა პიროვნულ ლტოლვას და სურვილს, და ეძლევა მრთელად, წინდაუხედველად და სიამაყით სამშობლოს ტრფობის გრძნობასა! ფრანცუზი თავის ქვეყანას, ყველაფერს ანაცვალებს ცას ქვეშეთში. დედა, შვილი, ცოლი, საყვარელი და თავის თავიც, მას არ ურჩევნია სამშობლოზედ! აი, ამნაირ კავშირში არიან ფრანცუზები საფრანგეთთან. რამდენათ აღამაღლა ფრანცუზის ზნეობა ჭკუა, ნივთიერი მდგომარეობა მზგავსმა სამშობლოს გიჟურათ აშიყობამ—ამას მისი ახლანდელი ძლიერება და გაელენა გვიმტკიცებს.

### II

ერთი ანდაზა ანბობს: კაცს რომ ღმერთი გაუწყრება, პირველ მას ჭკუას წაართმევსო. არ ვიცი, რომელ ხალხს ეკუთვნის ეს ანდაზა, მაგრამ უნდა ესთქვა, რომ კარგ ნათქვამი კი არი, სწორეთ! მართლა, თუ ჭკუაზედ ნაკლებათ ბრძანდება თქვენი მტერი და ავი—ის რაც გინდ ბედნიერ და სასარგებლო მდგომარეობაში ჩააგდოთ გამოუდეგარია!

საფრანგეთის ეხლანდელი უფლებაში მყოფი კაცები სწორეთ იმ ვაჭარსა ჰგავან, რომელიც მყიდველთან პატიოსანი და გაზრდილურ მოქცევის მაგიერად, ის აგინებს მას, ემუქრება და ატყუებს! ცხადია, რომ მოვაჭრე ხელ მეორეთ აღარ შეეა ამნაირი გონიერი გამყიდველის დუქანში. ბაუსალებელი ფართალი ცოტ-ცოტათ კონკვას დაიწყებს და ერთ ზამთრის ან გაზაფხულის დღეში გონიერი გამსალებელი გაკოტრებული დაანებებს თავს, გაუგებარს მისთვის ხელობას!

ბევონია, რომ უ. ბროლის დუქანსაც ამნაირი ქვეყნის სასაცილო საქმე მოუვიდეს. არა, გაგონილა ხალხის გულის მოგება, მისი დარწმუნება, რომ გიყვარს იგი და შეუძლია მას შენი მონდობა მგზავსი საშვალებების ხმარებით: სარწმუნოებით თავისუფალ ქვეყანაში სინიდის თავისუფლებას ავიწროებენ. საზოგადო აზრის წარმოთქმა შეუძლებელი შეიქნა, როგორც შეკრებილებაში, ისე მწერლობაში დაუსჯელად. რესპუბლიკის მმართებლობის მოქმედების გარჩევა და კრიტიკა საფრთხილოა, მაშინ როდესაც ამნარი მმართებლობის ხასიათი, რომლის სახელით ეხლა ბროლი და კამ. ართავს საფრანგეთის საქმეებს, სთხოულობს მოქალაქეების თანასწორობას და თავისუფალ გაწყობილებას ერთმანერთთან. რესპუბლიკა აძლევს თითოეულს სრულს ნებას თავის მოქმედების მკაცრ კრიტიკაზედ. ის ანბობს: მე სიმართლე ვარ, და სიმართლის არ მეშინიაო!

ფრანცუზები ანბობენ: ჯერ დროებით მართებლობათ არის ეს პარტია, (მონარხიელი, ლეგიტიმისტო—ორლეანო—ბონაპარტიელი) და ასე გვაიწროებს, რაღა უნდა შეიქნენ, როდესაც მტკიცე ულლებით, მეფის ბრძანებით და შთამამაელობითი პრინციპით შეირიაღდებიან ისინიო? ეს კითხვა, რასაკვირველია, სანუგეშო პასუხს არ აძლევს ხალხს. მაგრამ, არც მონარხიელებისთვის არის მაგდენი სასიამოვნო მოელინება ამისთანა შთაბეჭდილების მოხდენა საფრანგეთზედ.

მომეტებული არ იქნება რომ ვსთქვათ, ამ ჟამათ საფრანგეთის ცხოვრების წესი ნამდვილ მონარხიელ ცხოვრებისგან არ განირჩევა მეთქი.

მაშ რისთვის უნდათ იმისი მობრუნება, რაც ხელში აქვთ? აქ ფეხის შემაგრების სურვილი უჩანს მონარხიელებს იმ ყინულზედ, რომლიდგანაც ბარე ‡ ხუთეჯრ ჩამოცოცდენ. მაგრამ, საუკუნო რა არის?—ერთი მარტო ნამდვილი მეცნიერების კანონები და ათიოდე ზნეობით ცხოვრებისა ჭეშმარიტებანი. სხვა კი ყველაფერი, იშლის ფერს, ინგრევა და ჰქრება ქვეყნიერებიდგან.

---

# მწერლობა

უფ. დ. ერ-მა „თფილისის-მოამბეში“ (№ 99) პასუხი დაბეჭდა იმ შენიშვნაზე, რომელიც უფ. ბ. ბორისელმა მის შესახებ

---

უფრო ძვირია—თუმცა მესამე ეტაჟაში კი იქო.—20 ტალერი ღირს თვეში.—ამას კი არც კარების და არც ფანჯრების მხრით არა უშავდა რა, მაგრამ ჩემს გუნებაში ვთქვი, თუ ასე მაღლა და მაღლა და სულ ძვირი ოთახი მაჩვენა უთუოთ თუთხმეტი მინუტის განმავლობაში ეს 100 ტალ. ააწევს მეთქი თვეში და ისევ უთხარი:—არა თქვენ ერთობ ძვირი ოთახები გქონიათ და ჯიბეს რომ ეკითხე, ძლიერ უარს დაადგა, თუ ძლიერ არ გაჭირდა 10-ს ტალ. მეტის მიცემა ოთახში თვეში არ შემეძლებამეთქი.—ნუღარ სწუხდებით, მაღლა ნუღარ მიდიხართ მეთქი, უთხარი.—ცოტა შემეცოდა კიდეც: ლაზათიანათ წითელ-თეთრათ ჩასუქებულს, 35 წლის და კართოფილით და ლუდით ნაპატიებს კაცს გავდა.

— ალბათ თქვენ კიდევ არ გადგიწყვეტიათ აქა ცხოვრება, თუ მიუნსტერში (Münster am stein), თორემ აქ ამაზე ნაკლებათ ოთახს ვერ იშოვნით, სასტუმროში იყოს, თუნდ რომელიმე კერძო სახლში.

— არა, ჩემთვის სულ ერთია, მიტომ უფრო, რომ ნამდვილათ ვიცი წყლები აქაც და იქაც ორთავ ალაგას ერთი და იმავე თვისებისანი არიან. რასაკვირველია ყველაფერი ესენი ექიმზედ უფრო ჰკიდია და ის ექიმი რომელთანაც მე წერილი მაქვს, ნამდვილათ ვიცი მიუნსტერშია.

— დიახ, მართალს ბრძანებთ, ჯერ ექიმი უნდა ნახოთ—მომიგო, თუმცა დარწმუნებული ვარ, ჩუმათ გუნებაში, ისე თავისთვის, ერთი ორს კი შემომიკუთხებდა, რომ ამ კიბეებზე ასვლით და ჩამოსვლით ორიოდე დავაკვნესე.—ექიმი, თუ არა ვცდები უფ. N N. უნდა იყოს, რადგანაც მეტი არა ვინ მეგულება მიუნსტერში.—ძვიელ კარგი ექიმი, დიდი ნამსახური, პატიოსანი და თან მდიდარი კაციც.—სიმდიდრე სულ თავის ცოდნით და მეცადინეობით აქვს ნაშოვნი... ექიმობა კარგი ხელ გასათბობი ხელობაა, თუ თქვენც დამეთანხმებით.—დიახ,—აქამდის ის მიუნსტერში მართებლობისაგან იყო დანიშნული, მაგრამ ეხლა მგონი გადამდგარია, თუმცა ვიცი, რომ კერძოთ კიდევ ექიმობს.—მტყობა რომ, მცოდნე კაცი უნდა იყოს, რადგანაც გამიგია, რომ მას საუკეთესო ბერმანიის პროფესორებ-ექიმებთან აქვს მიწერ-მოწერა და მეგობრობა. ამ უკანასკნელი ომების დროს ბრძოლის ველი ისე ნამეტნად დაშორებული არ იყო ჩვენს ქრეიცნახზე, და როგორც მოგხსენებათ, ამ ომების დროს უკანასკნელი ასამდი ათასნაირად დაჭრილები და დამახინჯებული მეომრები ნემცები იწვა აქაურ ლაზარეთში, საექიმოთ და სხვა და სხვა ოპერაციების გასაკეთებლათ. საზოგადოთ უნდა გითხრათ, რომ ქრეიცნახსა და მიუნსტერს ძვიელ კარგი ექიმები ყავს,—და ეს უკანასკნელნი ჩვენს წყლებთან ერთად ბევრს სიკეთეს და დიდს დახმარებას იჩენენ ავათმყოფობისათვის. მიტომაც ისე აწყდება ჩვენს წყლებს ავათმყოფები. ფრანცუზებმა ეს ორი წელიწადია, რაც სტუმრობა გაგვიძვირეს, თორემ უწინ მათს ოჯახებს ანგარიში არ ჰქნოდა. ეს მშვენიერი ადგილები, ტყეები თუ მთები, რასაც ამ ქრეიცნახის გარშეო ხედავთ, სულ ფრანცუზებით და რუსებით იყო სავსე. რუსების ოჯახებსეხლაც ბევრს ნახავთ წყლებზე..

— სხვების ნახვა რაში მეჭირვება— გაყაწყვეტინე სიტყვა ჩემ მესაუბერეს...

— თქვენც ხომ თავათ რუსი არ ბრძანდებით?

— არა, რუსი არ ვარ, სხვა ფრიე, როგორი დიეტა არის საჭირო წყლებზედ, თუ გაგიგონიათ ან თავათ გამოგიცდიათ-მეთქი, ვკითხე...

— ნამეტანი საძნელო ავათმყოფობისათვის არა არის რა... უმთავრესი პირობაა, რომ ავათმყოფი არ გაცივდეს ნაბანოვებს; თავის დროზე იბანოს, სასმელი მადნის წყალი სვას, თუ ამისთანა ექიმისაგან ნარჩევი აქვს; ცოტა უნდა იჯდეთ სახლში და ბევრი ისეირნოთ, რომ წმიდა ჰაერი ყლაპოთ,—თან რასაკვირველია ცოტა და წმიდათ სჭამოთ და სხვათ...

— მგ უკანასკნელი დიეტა, რომ არც კარგათ მყოფობაში გატკენს მუცელს...

— ამის შემდეგ ბევრი აღარ გამიგრძელებია მუსაიფი, რადგანაც შევიტყვე, რომ ცოტა ხნის შემდეგ, რაკი კუჭის დიეტას მიუახლოვდა, უთუოთ სადმე კარტოფილს ლუდსაც დააკერებდა ექიმების გარიგებაში.—ბამოვართვი ნამდვილი ადრესი ჩემი ექიმისა ვკითხე რკინის გზა როდის მიდის მეთქი, მიუნსტერში,— ნახევარი საათის შემდეგ მითხრა, გამომტყუა ორიოდე სიტყვით მადლობა ზოგიერთი ცნობებისათვის და გამოვეთხოვე კიდეც.

1 სექტ. 1873 ი.—ი.

„დროებაში“ დასწერა (№ 36). ამ პასუხის გამოსისობით დღეს „თფილისის მოამბეში“ აი რაა დაბეჭდილი:

„უფ. რედაქტორო! თქვენი გაზეთის 99 ნომერში „თფილისის მოამბის“ ბიბლიოგრაფმა ინსინუაციები სეტყვასავით მოგვაყარა, „დროებაში“ დაბეჭდილი ჩემი შენიშვნის პასუხად. მე სრულიადაც არ მსურს ამ მწერალთან ვიბჭო ჩვენი მოქმედების ხასიათზე, მაგრამ მარტო ერთ ნიმუშს გიჩვენებთ მისი ინსინუაციების საუძველიანობისას. ის ამტკიცებს, მაგალითად, ვითომც მე იმას ვუძღვენი სტატია, „ავსებული ყოველნაირი გინებითა.“ მიათითოს აბა ივან თუნდ ერთ გინებას იმ რიცხვიდამ, რომლებით მისი სიტყვით ვითომც ავსებულია ჩემი სტატია.

თქვენი მოსამსახურე ბ. ბორისელი.

ამის პასუხათ „თფილისის მოამბის“ რედაქტორმა აი რა დაბეჭდა:

„რედაქციისაგან. შეხედულობა გამოთქმული ქართულ გამოცემების შესახებ 99 ნომერში, სტატიაში „შეურაცხყოფილი კომპრაჩიკოსი“ და სხვ. რედაქციის აზრს არა თუ არ ეთანხმება, რედაქციისაგან ჭეშმარიტებაზე მოშორებულ-თ ითვლება. რედაქცია სწუხს, რომ ავტორი, პოლემიკათ გატაცებული, ჭეშმარიტების საზღვრიდამ გამოვიდა. მაგრამ, თანხმად ერთხელ მიღებული წესისა, რედაქცია თავის მოვალეობათ სთვლის სიტყვის თავისუფლება არ შეამციროს.“

იმედი გვაქვს, რომ ეს „ურო კი“ ეყოფა უფ. დ. ერ--ეს.

---

## მადნის წყლები (ვერძა *)

### იმერეთში და სამეგრელოში.

იმერეთში და სამეგრელოში, როგორც საზოგადოთ მთელს დასავლეთის საქართველოში, მადნის წყლები ან „აბანოები“ ძალიან ბევრია. უფრო სახელ განთქმულნი არიან მათში: იმერეთში—წყალტუბოს აბანო, რაჭაში—მჟავე და რკინეული წყლები, სამეგრელოში—ნოქალაქევის აბანო და სხვა. ამ აბანოებს ჩვენი ხალხი დიდს მნიშვნელობას აძლევს თავის სიმრთელის დაცვაში. ამის მიზეზი აი რაა: ჩვენში გავრცელებულია ბევრ გვარი სნეულება სხვა და სხვა მიზეზების გამო, ჰაერის უვარგისობისა, თუ სიღარიბისაგან უსუფთაო ცხოვრებისა, თუ უმეცრებისა გამო. რამდენათმე სასარგებლო საშუალება და დოქტორების შემწეობა ამ სენების წინააღმდეგ ხალხისთვის არ არსებობს. თუმცა ამის მიზეზათ ექიმებს ხალხის უმეცრება და ნასწავლ ექიმებზე დაუნდობლობა მიჰყავთ, მაგრამ უმეტეს ნაწილ შემთხვევაში ეგ ტყუილია. იმის მიზეზი, რომ ჩვენი სოფლის ხალხი ნასწავლი ექიმის საშუალებით იშვიათად სარგებლობს, სრულიად მისი უმეცრება და დაუნდობლობა არაა. დიდი უმრავლესობა ჩვენი ხალხისა იმდენათ ღარიბია, რომ არ შეუძლია მიიწვიოს ექიმი არა თუ რომელიმე შორი ქალაქიდან, მეზობლათაც რომ ჰყავდეს მაშინაც. ნასწავლი ექიმების ექიმობა მათ შეტად ძვირათ უზისთ. მაშ რა ჰქნას ხალხმა ავათმყოფობის დროს, თუ იმ საშიალებებით არ ისარგებლოს, რაც მის ხელშია: სხვა და სხვა სალოცავებით, მკითხავებით, უმეცარი სოფლის-ცრუ-ექიმებით და სხვათა შორის, აბანოებით.

სხვა და სხვა აბანოებს სხვა და სხვა თვისება აქვსთ და, უეჭველია, სხვა და სხვა სენებს არგებენ. ხალხს არც აბანოს ხმარებაში ჰყავს რჩევის მიმცემი, თუ რა სნეულებაში რომელი აბანო იხმაროს. ამისთვის ის სარგებლობს იმ აბანოთი, რომლის ხმარებაც იმისთვის უფრო მოხერხებულია. სოფლის კაცი მიდის უფრო ხშირათ ერთი ან ორი დღით რომელსამე აბანოზე; ბინავდება სადმე ხეს ქვეშ ან ნოტიო დამპალ ფაცხაში. ხშირათ ერთი ან ორი ბანაობის შემდეგ, ისევ მიემგზავრება უკან. რა საკვირველია ძნელია, რომ ამ ნაირმა წყლის ხმარებამ რამე არგოს ავათ მყოფს; ხშირად კიდევაც ავნებს და უძნელებს სენს, და თუ ხალხში მაინც არის გავრცელებული ხმა, ვითომც ამ გვარი აბანოს უხეიროდ ხმარებითაც შემსუბუქებას გრძნობენ ავათ მყოფები და ხან სრულიადაც რჩებიან, ეგ წყლის უეცარ სამკურნალო თვისებას არ უნდა მიეწეროს. უფრო ხშირად ამ გვარ შემსუბუქებაში სულ სხვა მიზეზები მოქმედებენ. რამდენიმე თვის განმავალობაში ტან დაუბანელი და ტან საცმელ გამოუცვლელი სოფლის კაცი იბანს ტანს აბანოში, ირეცხს ტანთ საცმელს, ისვენებს ერთ ორ დღეს მუშაობისგან. ამიდგან რასაკვირველია დიდს შემსუბუქებას გრძნობს მისი ზანგიდგან შეკრული და მუშაობაში დაღალული სხეული. ანისა, რომ ხშირათ უწმინდურ და დახშულ ჰაერში მცხოვრები კაცი გადადის უწმინდესს ჰაერში; ამას ისიც დაუმატოთ, თუ რა დიდი იმედით მიდის ის აბანოზე და როგორ მოქმედებს მასზე ეგ იმედი და ძივხდებით, რომ მადნის წყლების სამკურნალო თვისება აქ არაფელ შუაშია.

წრეულს შემხვდა ყოფნა წყალ-ტუბოს და ნოქალაქევის აბანოებზე და დავრწმუნდი, რომ ორივე ამ აბანოებზე ცხოვრება და მათი რიგიანათ ხმარება ჯერჯერობით მოუხერხებელი და ხშირად შეუძლებელია. წყალ-ტუბო არის 9-10 ვერსით მოშორებული ქუთაისზე, ჩაეარდნილ, ხაშმიან, ნოტიო ადგილას. მადნეული წყალი ამოდის ამ სოფელში რამდენიმე ადგილას, მდინარე წყალ-ტუბოს ნაპირზე; ერთ ადგილს ამოდის უფრო ბლომათ და შეადგენს ერთ მოდიდო გუბეს, რომელსაც სივრცე ექნება 35-40 კვადრატულ საჟენამდე, სიმაღლე ერთი ალაბიდან ერთ საჟენამდე. წყალს სითბო აქვს 29 გრადუსამდე (რეომიურის ტერმომეტრით). იმ ნიეთიერების გამო, რომელსაც, ექიმების სიტყვით, ეს წყალი შეიცავს, მას ეძახიან რუსულათ щелочная вода (ნაცარ ტუტის წყალი.) როგორც ექიმები და გამოცდილი კაცები ამბობენ, წყალ-ტუბოს წყალი ბევრ სნეულებაებს არგებს, სხვათა შორის რევმატიზმშიც (ტეხა) ძალიან მარგებელი არის. მაგრამ მისი რიგიანად ხმარება, მინამ არ შეაკეთებენ, ერთობ მოუხერხებელია. ყველა იქ მიმსვლელი ავათმყოფნები ბანაობენ ზეოხსენებულ გუბეში *), რომლის ნაპირზე არა თუ ტანთ გასახდელი რამე კარავი არ დგას, უბრალო ღობითაც არაა შამოღობილი, არც გადახურულია, და ღორები და სხვა პირუტყვები თავისუფლათ ჩადიან შიგ. ყველა ამ ტბაში მობანავენი ტიტველ ნაპირზე იხდიან ტანს და ქალიც-კაციც ერთად ჩადიან გუბეში, რომელიც მთელი დღე სამსეა მობანავებით. ამისგამო წყალი ძალიან უწმინდურდება; რაც ჭეჭყი და ტალახი ჩააქვსთ უმეტეს ნაწილად შიგვე რჩება. მეაბანოები, იმის მაგიერ, რომ წყლის სისუფთავეს უყურონ, ხშირათ თითონ აბანებენ გუბეში გასერილ, გაოფლიანებულ ცხენებს, იმ დროს როცა შიგ ხალხი ბანაობს. სადგომი სახლები აქ ცოტა და უხეიროებია; ფიცრული ოთახები იქნება სამი თუ ოთხი, დამტვერეული ფანჯრებით, უმებლოთ, უსამზარეულოთ. თითოეული ამ ოთახებთაგანი ქირავდება დღე და ღამეში სამ-სამ აბაზათ. საბანაო ფული კიდევ სხვა—თითო დაბანა თითო შაურია. ამ ოთახებს გარდა არის იქ რამდენიმე დამპალი ფაცხები, იმათაც ასე დიდი ფასი აქვსთ. როგორც აბანო, ისე სახლები ეკუთვნიან იქაურ მცხოვრებლებს.—იოსელიანებს ამ წყლებს და სადგომებს რომ ცოტა შეაკეთებდნენ უეჭველია ყოველ ზაფხულს ბევრი მომსვლელები იქნებიან ამ წყლებზე და პატრონებსაც კარგი შემოსავალი ექნებათ. ამ წყლის შეუკეთებლობის მიზეზად მეპატრონებს ის მოჰყავთ, თურმე, რომ ისინი (მეპატრონეები) ბევრნი არიან და უფროსი ნაწილი მათში არაფერში ეთანხმება ერთმანერთს საჭმელსასმელის მხრითაც დიდი მოუხერხებლობაა წყალ-ტუბოს: ყველაფერი ქუთაისიდგან უნდა აზიდვინოს აქ მყოფმა, რადგანაც ხანდისხან თითქმის კვერცხს და ქათამსაც ვერ იშოვის კაცი გასასყიდათ ამ სოფელში; სხვა რამეს ხომ ნულარ კითხულობ.—ნაქალაქევის აბანო, ანუ ნოქალაქევის, როგორც მეგრელები ეძახიან, იმყოფება სენაკის მაზრაში; 16-18 ვერსით მოშორებულია ახალ-სენაკზე, 40-45 ვერსით ქუთაისზე, მდინარე ტეხურის პირათ, მომაღლო, მაგრამ რამდენიმე ნოტიო და ხაშმიან ადგილას. ეს აბანო დიდი ხანია სახელ განთქმული ყოფილა; ოცი წლის წინათ სამეგრელოს მთავრის დავით დადიანის დროს ერთ დოქტორსაც გაუსინჯავს და აუწერია რუსულ ენაზე ეს წყალი. ამ დოქტორის სიტყვით, ნოქალაქევის წყალი ბევრ სნეულებაებს რგებს, მაგ. წითელ ქარებს, რევმატიზმებს, სტომაქის სისუსტეს, ბუასილს, სხვა და სხვა გვარ ქალის შინაგან სნეულებაებს. თუთხმეტი წლის წინ ეს აბანო ბევრათ უკეთეს მდგომარეობაში ყოფილა, ვინემ დღესაა. მადნეული წყალი ყოფილა მილით ამოყვანილი ძაღლა რამდენიმე საჟენზე; აუზები ყოფილა რამდენიმე გადახურული ყავრით, სახლები ბევრი და უკეთესები; ყველა ესენი გაუფუჭებია ეიღასაც ერთ ზამთარში: რაც სახლები იყო გადუწვავს და დაუნგრევია. წყლის აძოსასველელ ძილში ულხაძს ადულებული ტყვია, აუზები დაუნგრევია ყველა. ამის შემდეგ დღემდის აბანო ასე გაოხრებულათ დარჩენილა, მხოლოდ ერთი აუზი კი გაუკეთებია ერთ დადიანს ზედვე ტეხურის პირად, სადაც დღეს გამოდის აბანოს წყალი, რომელიც თვისებით წყალტუბოს წყალს ჩამოგავს, მხოლოთ რამდენათმე უცივესია, 26 გრადუსამდე სითბო აქვს. როგორც ტეხური გადიდდება, მისი წყალი ერთვის აბანოს და ბანაობა შეუძლებელი ხდება. აუზთან ჩასვლა მაღალი ხის კიბით ისე ძნელია, რომ სუსტი ადამიანი ხელით ჩაჰყავთ. წყალი ეხლა შედის ერთად ერთ დიდ ქვიტკირით ამოშენებულ აუზში, რომელიც ძაღლიდამ გადახურულია ძხოლოდ გვიძრით, რომელიც არც წვიმას აკავებს, არც ქარს. ტანთ გასახდელი ქოხი არც აბანოს კარებზე მისაფარებელი რამე სრულიად არა არის რა. რადგანაც აუზი ერთია და ბანაობის მსურველი ბევრი, თითო კაცის ცალკ-ც ლკე ბანაობა შეუძლებელია; ამისაგამო ყველა დაბანაზე იმდენი ხალხი ჩადის, რამდენიც აუზში ჩაეტევა—თუთხმეტიდამ, ოცამდე. ამ ნაირი ბანაობა, რასაკვირველია, ყოველად მოუხერხებელია; სხვა ოომ არა იყოს რა, სნეულება ხომ ყველას ერთი და იგივე არა სჭირს. დასაბინავებელი ქოხები იქნება ათი-თორმეტი, ყველა თითო ოთახებიანი; არც ერთ მათგანს (გარდა იმისა, რომელსაც წრეულს აშენებდნენ) არც აქვს იატაკი, არც ჭერი, არც ფანჯარა, არც ბუხარი, არც სამზარეულო, ან სხვა რამე მოწყობილება. თითოეულს ამათგანში დღე და ღამეში იღებენ ქირას სამი აბაზიდგან მანეთამდე და მეტსაც, ასე რომ თითოეული აქაური ქოხი იღებს თავის ფასს ორ-სამ კვირაში, მაგალ. ერთ ფიცრულ ქოხში, რომელიც დღე და ღამეში ქირავდებოდა მანეთად, ორ თვეში აიღო პატრონმა შვიდთუმან ნახევარი, მაშინ, როცა თითონ ქოხი, დიდი რომ ვთქვათ, ღირდა ორ სამ თუმნად. აბანოს ფული კიდევ სხვაა. როგორც აბანო, ისე იქაური სადგომები ეკუთვნიან თ. დადიანებს; იმათ ჰყავთ რამოდენიმე კაცი, რომელთაც მინდობილი აქვთ აბანოს მოვლა და სახლების გაქირავება. უეჭველია ყველა მეპატრონეებმა კარგათ იციან, თუ როგორ სინიდისიანათ ქირავდებიან მათი ქოხები და როგორი მოვლა აქვს აბანოს. არ უნდა არც დიდი შეძლება, არც დიდი შრომა, რომ აქ რამდენიმე ხეირიანი სადგომები დაიდგას და რიგიანი ქირა დაედვას, მეაბანოები ამით კი არ წააგებენ უფროც მოიგებენ, მაგრამ, სჩანს, გაურჯელათ და დაუხარჯავათ ფულების შოვნა, გაჭირვებული ავადმყოფობის მდგომარეობის სარგებლობა უფრო ადვილია, მინამ ცოტა გარჯა და ხეირიანათ საქმის წაყვანა. როდესაც ჩვენ ვეუბნეოდით მეაბანოეს, რა ურიგობაა მათი მხრით ამ გვარი მათი ქცევა, დამპალ ქოხებში ამდენი ქირის აღება და სხვა, ისინი, პირდაპირ ამბობდნენ პასუხად: ჩვენ შემთხვევით, ავადმყოფების გაჭირებით ესარგებლობთო. ამ სიტყვებმა მე მომაგონა უწერა, სადაც წარსულ წელში ვიყავი, არ შემიძლია არ ვსთქვა, რომ იქაური აბანოების და სახლების პატრონები ნაქალაქეველ მეგრელებზე ბევრათ უფრო სინიდისიანათ ექცევიან მიმსვლელებს. მეგრელები როგორც ამბობენ, ყველა ქართველებში ნაქები და მოხერხებული არიან ვაჭრობაში და აღებ-მიცემაში, მაგრამ არ არის კარგი თუ მათმა ნიჭმა და მოხერხებულებამ ამ ნაირი, როგორც ამბობენ, ურული მიმართულება მიიღო. ამბობენ ამ გვარ მიმართულებას და ხასიათს თავის მოქმედებაში არა თუ უსწავლელი სამეგრელოს ხალხი, ნასწავლი მეგრელებიც, მაგ. ადვოკატები იჩენენო; ისინი, თურმე თავის ხელობის დაფასებაში ძალიან მისდევენ კანონს: როგორც გიჭირდეს, ისე გიღირდესო. ძალიან ვიტყვი, როგორც სახლების ეგრეთვე აბანოების და აუზების გაკეთება ნოქალაქევში ადვილია, რადგანაც ქვა და კირი ბევრი იშოება. სხვა არა იყოს რა, სულ ადვილად და იაფად შეიძლება ახლა-ბანოს სამ ზომიერ აუზათ გადაკეთდება, ასე, რომ ერთი მათგანი კაცებისთვის იყოს, მეორე ქალებისთვის და მესამე მძიმე ავათმყოფებისთვის. თუ პატრონებს არც ეგ შეუძლიათ, იჯარით მაინც გასცენ, უეჭველია, მსურველები ბევრნი ამოჩნდებიან. როცა სახლები და აბანო ხეირიანად შეკეთებული იქმნებიან, უეჭველია, მომსელელი ხალხიც ერთი ათად იმატებს ეხლანდელზე. ეგ მით უმეტეს საფიქრებელია, რომ ახლა ნაქალაქევს და ახალ-სენაკს შუა, სადაც რკინის გზის ფონია (სტანცია), ქვა-ყრილი გზა (შოსსე) ცოტას გარდა, გაკეთებულია და დანაშთენიც, მგონი, ჩქარა გაკეთდება. ჩემი ნოქალაქევში და საზოგადოთ სამეგრელოში ყოფნა პირველი იყო და ძალიან გასაკვირი და მოულოდნელი იყო ჩემთვის, როცა ვნახე ბევრი იმისთანა ხნიერი და ყმაწვილი ქალები, რომელთაც ქართული არ ესმოდათ. რაღა უნდა იყოს შუა-გულ სამეგრელოში, რომელიც ციერეთიდგან უფრო დაშორებულია. წერაკითხვა ხო სულ ნაკლებათ გავრცელებულია ნოქალაქევში: იქაურ შვიდ-რვა პატარა ქალებში, რომელთანაც მე ლაპარაკი მქონია, ძხოლოდ ერთმა იცოდა წერა-კითხვა. ამ გარემოებამ უნებლიეთ ძომაგონა წარსული წლის ჩემი ნაცნობი, მეავარდნილი ს. უწერის (რაჭაში) პატარა-ქალები, რომლებთაგან ხუთში ორმა მაინც იცოდა წერა-კითხვა; ისიც ეისგან ესწავლათ, როგორც თითონ ძითხრეს: ვიღაც ონელი ვაჭარი ბიჭისაგან, რომელიც მათ სოფელში თურმე სტუმრათ დადიოდა კვირაობით. ადვილი წარმოსადგენია, როგორი სწავლის ხალისი უნდა ჰქონდესთ იმ პატარა ქალებს, რომელნიც ამისთანა მდგომარეობაში სწავლობენ წერა-კითხვას. რადგანაც წერა-კითხვა ასე ნაკლებათ ყოფილა გავრცელებული ნოქალაქევის ძხარეზე, გასაკვირველი რ არის, რომ აქ წერა-კითხვის მცოდნეს დიდის პატივით უყურებენ, და თუ კაცი რამადენათმე ნასწავლია, რაღაც განსაკუთრებითი ძოკრძალება და თითქმის ცრუძორწმუნებითი შეხედულება აქვსთ მასზე. როდესაც ნოქალაქევიდგან გამოვემგზავრეთ, თან მოგვყვებოდა ცხენის პატრონი ერთი იქაური გლეხი კაცი და გვემუსაიფებოდა იქაურ ყოფა ცხოვრებაზე და, სხვათა შორის, თავის მებატონეებზე; ერთ იმათგანზე აი რა სთქვა: ის ძალიან ნასწავლი კაცია, რუსეთში ყოფილა, წვრილი კაცებისთვისაც კაი კაცია, სხვებზე უკეთესია.— რაიცი შენ რომ დიდი ნასწავლია ეკითხეთ ჩვენ.— რავა არა, პატენი, სულ მარსკელავებს უყურებს ცაში.— რათ უყურებს ვარსკვლავებს?—უნდა შეიტყოს, რა მოხდება ქვეყანაში, რავი ჰაერი და ტაროსი იქნება—ყველაფერს შეატყოს. მან თავისი მაძული, აბანო და სხვა ადგილები, რაც ქონდა, სულ აწერა და ხენწიფეს გუუგზანა და ხენწიფემ მას ამისთვის პენცია მისცა.“ ჯერ ჩვენ ვერ მიხვდით, რა იყო ეგ მაძულის აწერა და ხემწიფისთვის გაგზავნა და პენციის მიღება. თურმე საქმე რაში იყო: ეს სოფელი რომ კაცზე ლაპარაკობდა, იმის კორრესპონდენცია ყოფილიყო, თურმე, დაბეჭდილი გაზეთში, და აქიდგან სოფლელებს შეედგინათ ეს ისტორია: ხელმწიფეს აწერილობა გაუგზავნა და პენცია მიიღოვო...

ნ. კ—ლისა.

*) ყველა მადნის წყალს რაჭაში ვერძასა უძახიან.

*) გუბეს გარდა არის მეორე ადგილას გაკეთებული ორი გადახურული ფიცრული, უწმინდური აუზები, მაგრამ იმათში ნაკლებათ ბანაობენ, რადგანაც, როგორც ამბობენ, მეტისმეტი მდინარესთან ახლოობის გამო, უბრალო -წყალი ერევა აუზებში აბანოს წყალს.

---

ბიბლიოგრაფიული

# განცხადება

ქართული წიგნები

ისყიდება.

ქუთაისში: სეიმონ ჩოჩახიძისას, ბორში იოსებ ძამუეის მაღაზიაში. ახალციხეში: ანნა მუსხელოვისას; თელავში სასულიერო სასწავლებელში დათოშვილისას, სიღნაღში: რაჟდენ ციციშვილისას, ვლადიკავკაზში: პაველ ბოზალოვის მაღაზიაში.

Дозволено цензурою, Тифлисъ 28 Сентября, 1873 г. სტ. მელიქიშვილის და ამხ. სტამბა გამომცემელნი ს. მელიქიშვილი და ს. მესხი. რედაქტორი ს. მესხი.